არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების
წ ე ს დ ე ბ ი ს ახალი რედაქცია

თავი I. არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირი – ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება /შემდგომში – „გაერთიანება"/ დაფუძნებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოადგენს სპორტული დაწესებულებების გაერთიანებას;

2. გაერთიანება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების საფუძველზე;

3. გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საკანცელარიო ტვიფრი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ბანკში, არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები;

4. გაერთიანების საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია;

5. გაერთიანების იურიდიული მისამართია: საქართველო, 4600, ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა №9;

6. გაერთიანების იურიდიული ფოსტის მისამართია: sportunion@kutaisi.gov.ge .

მუხლი 2. გაერთიანების მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. გაერთიანების მიზნები და ამოცანები:

ა) ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სკოლების, ყინულის მოედნის, ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლის, საცხენოსნო სპორტული კლუბი ,,იმედის", ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბისა და რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსის /შემდგომში – „ფილიალი"/ საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა;

ბ) სამწვრთნელო პროცესის სრულყოფის ახალი მეთოდებისა და საშუალებების მოძიება;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება;

დ) თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის, გაერთიანების სპორტულ ღონისძიებათა

კალენდრის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;

ე) სპორტის სახეობებში ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციების მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდისათვის რეზერვის მომზადება;

ვ) თანამედროვე სტანდარტების დონეზე სასწავლო – სპორტული პროცესის ორგანიზება, სპორტსმენთა წვრთნისა და სოციალური პირობების /კვება, სასწავლო – საწვრთნელი შეკრება, სამედიცინო კონტროლი/ შექმნა;

ზ) სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების, სახელობითი ტურნირების ჩატარება და ორგანიზება.

2. გაერთიანების ფუნქციები:

ა) ფილიალების მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფა და აღჭურვა;

ბ) სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და განხორციელება;

გ) ფილიალებში საოფისე და კომუნალური ხარჯების გადახდის უზრუნველყოფა;

დ) ფილიალის სასწავლო – საწვრთნო პროცესის კონტროლი;

ე) ფილიალების მიერ კომერციული ჯგუფებისა და მოყვარულთა კომერციულ მომსახურების გაწევაზე თანხმობის მიცემა;

3) გადაწყვეტილებები /უძრავი ქონების შეძენა – გასხვისება, დატვირთვა, სესხი, თავდებობა/, რომლებიც სცილდება გაერთიანების საქმიანობის ფარგლებს, ხორციელდება მხოლოდ საკრებულოს თანხმობით.

მუხლი 3. გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

1. გაერთიანებას ხელმძღვანელობს მმართველი. მმართველს თანამებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;

2. გარდა მმართველისა გაერთიანების სტრუქტურა მოიცავს გაერთიანების ადმინისტრაციას, ბუღალტრული აღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებას, კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილებას, მონიტორინგის განყოფილებას, საქალაქო ღონისძიებების მართვის განყოფილებას, მეთოდგანყოფილებასა და შრომის უსაფრთხოებისა და მატერიალურ-ტექნიკური განყოფილებას;

3. გაერთიანება შედგება ფილიალებისაგან/სპორტული სკოლები, ყინულის მოედანი, ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლე, ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბი, საცხენოსნო სპორტული კლუბი ,,იმედი'' და ,,რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი'', რომლებსაც ხელმძღვანელობს ფილიალის /სპორტული სკოლების, ყინულის მოედნის ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლის, ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბის საცხენოსნო სპორტული კლუბი ,,იმედი''-ს ,,რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი''.-ს /დირექტორი. ფილიალის დირექტორს ქალაქ ქუთაისის მერთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი;

4. გაერთიანებასთან ფუნქციონირებს სათათბირო ორგანო – საბჭო, რომელიც შედგება ფილიალების დირექტორებისაგან. საბჭოს ქმნის მმართველი.

5. გაერთიანების მმართველი:

ა) წარმოადგენს გაერთიანებას მესამე პირებთან ურთიერთობაში და სასამართლოში, დებს გარიგებებს და გასცემს მინდობილობებს;

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს გაერთიანებისა და ფილიალების სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და სახელფასო განაკვეთს;

გ) ამტკიცებს გაერთიანების შინაგანაწესს, რომელშიც აისახება:

გ.ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;

გ.ბ) დასვენების ხანგრძლივობა;

გ.გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი;

გ.დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

გ.ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

გ.ვ) შრომის პირობების დაცვის წესები;

გ.ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი;

გ.თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

დ) ამტკიცებს ფილიალებში მოსწავლის მიღებისა და გარიცხვის წესს, რომელშიც აისახება:

დ.ა) ფილიალებში მოსწავლის მიღების წესი და პირობები;

დ.ბ) ფილიალებიდან მოსწავლის გარიცხვის წესი და პირობები;

დ.გ) სასწავლო წლის ხანგრძლივობა;

დ.დ) მშობლის,/ მოსწავლე -სპორტსმენთა/ და მწვრთნელ-მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები;

დ.ე) დღის რეჟიმი;

დ.ვ) მისაღები დოკუმენტების ნუსხა;

დ.ზ) სანიტარულ – ჰიგიენური პირობების დაცვისა და პასუხისმგებლობის წესი;

დ.თ) მშობელთა და მოსწავლე-სპორტსმენთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი.

ე) ამტკიცებს გაერთიანებისა და მისი ფილიალების თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

ვ) მართავს გაერთიანების ქონებას და სახსრებს, პასუხისმგებელია საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ზ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანებასა და ფილიალებში შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომლებს, აგრძელებს მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობებს, იღებს გადაწყვეტილებას მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხსიმგებლობის დაკისრების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტს;

ი) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ადგენს კომერციული ჯგუფებისა და მოყვარულთა კომერციული მომსახურების საფასურის ოდენობას;

კ) ამტკიცებს გაერთიანებისა და ფილიალის სამუშაო გეგმას;
ლ) ანგარიშვალდებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

6. საბჭო გაერთიანების მმართველთან ერთად, შეიმუშავებს ფილიალის სამუშაო გეგმას.

მუხლი.4 გაერთიანების ქონება, ფინანსები

1.დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად გაერთიანებას გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. გაერთიანების საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან;
3. გაერთიანების დაფინანსების წყაროებია:
ა) ადგილობრივი ბიუჯეტი;
ბ) შემოწირულობა;
გ) სახელმწიფო გრანტები, სუბსიდიები და სხვა კანონიერი წყაროები;
დ) ფასიანი სწავლებისგან მიღებული სახსრები;
ე) კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალები;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავალები".

თავი II ფილიალი / სპორტული სკოლა/ ყინულის მოედანი, ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლე, ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბი , საცხენოსნო სპორტული კლუბი „იმედი" და „რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი"

მუხლი 5. ფილიალის /სპორტული სკოლის, ყინულის მოედნის, ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლის, ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბის, საცხენოსნო სპორტული კლუბი „იმედი"-სა და „რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი"ს სტრუქტურა

1. გაერთიანებაში შემავალი სპორტული სკოლები, ყინულის მოედანი, ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლე, ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბი, საცხენოსნო სპორტული კლუბი „იმედი" და „რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი" სამართლებრივად წარმოადგენს გაერთიანების ფილიალს /შემდგომში–„ფილიალი"/,რომელიც საქმიანობს გაერთიანების წესდებით და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს;

2. გაერთიანებისფილიალებია:
ა) სულიკო თორთლაძის სახელობის №11 სპორტთამაშების კომპლექსური სპორტული სკოლა;
ბ) ომარ ფხაკაძის სახელობის №12 კომპლექსური სპორტული სკოლა;
გ) ლევან კირკიტაძის სახელობის ფარიკაობის №15 კომპლექსური სპორტული

სკოლა;

დ) მაია ჩიბურდანიძის სახელობის №16 ჭადრაკის სპორტული სკოლა;

ე) დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის №17 კომპლექსური სპორტული სკოლა;

ვ) აკაკი კაკაურიძის სახელობის №18 კრივის სპორტული სკოლა;

ზ) რობერტ შავლაყაძის სახელობის №19 მძლეოსნობის სპორტული სკოლა;

თ) მარიამ ყუფარაძის სახელობის №20 ტანვარჯიშის სპორტული სკოლა;

ი) კონსტანტინე ლიპარტელიანის სახელობის №21 ნიჩბოსნობის სპორტული სკოლა;

კ) №22 რაგბის სპორტული სკოლა ,,აია";

ლ) №94 ფეხბურთის სპორტული სკოლა;

მ) საცხენოსნო სპორტული კლუბი ,,იმედი";

ნ) ყინულის მოედანი;

ო) ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლე;

პ) ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბი;

ჟ) რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი.

3. ფილიალს აქვს ბეჭედი, ბეჭდის საიდენტიფიკაციო ნიშნები;

4. ფილიალის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ფილიალის საქმიანობას;

ბ) ხელმძღვანელობს ფილიალის პედაგოგიურ საბჭოს;

გ) ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს ფილიალში სასწავლო-საწვრთნო პროცესის სწორად წარმართვას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს-ბრძანებით აფორმებს მოსწავლე-სპორტსმენთა ჩარიცხვას და ამორიცხვას;

ე) უზრუნველყოფს საქმის წარმოებას, ანგარიშების დროულად მომზადებასა და გაერთიანებაში დროულად წარდგენას;

ვ) აკომპლექტებს სასპორტო დაწესებულებას კონტიგენტით, ზრუნავს კონტიგენტის გაზრდაზე;

ზ) ხელმძღვანელობს ფასიან მომსახურებას მშობლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით;

თ) იცავს ტექნიკური უსაფრთხოებისა და სანიტარულ – ჰიგიენურ მოთხოვნებს, პასუხს აგებს დაწესებულების სანიტარულ მდგომარეობაზე, წარმოადგენს მატერიალურად პასუხისმგებელ პირს მის დაქვემდებარებულ ფილიალში;

ი) უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას სპორტსმენთა ჯანმრთელობისათვის;

კ) ფილიალში აწარმოებს სპორტულ – საწვრთნო პროცესის მონიტორინგს;

ლ) მონაწილეობს ფილიალის თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, წახალისებისა და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის თაობაზე, გადაწყვეტილების მიღებაში.

მუხლი 6. ფილიალების/სპორტული სკოლების მიზნები და ამოცანები

1. სპორტული სკოლების მიზნები, ფუნქციები და ამოცანებია:

ა) მოზარდთა ჩაბმა სპორტულ – გამაჯანსაღებელ მოძრაობაში სკოლის პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;

ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება, სპორტის განვითარება;

გ) სპორტის სახეობების მიხედვით, პერსპექტიული და წარმატებული სპორტსმენებისათვის წლიური სამუშაო გეგმის შემუშავება და ნაკრები გუნდისათვის რეზერვების მომზადება;

დ) თანამედროვე სტანდარტების დონეზე სასწავლო – სპორტული პროცესის ორგანიზება, სპორტსმენთა წვრთნისა და სოციალური პირობების /კვება, სასწავლო – საწვრთნელი შეკრება, სამედიცინო კონტროლი/ შექმნა;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 7. ყინულის მოედანის მიზნები და ამოცანები

1. ყინულის მოედნის მიზნებია:

ა) ქალაქ ქუთაისში ბავშვთა და მოზარდთა ჩართვა ფიგურულ ციგურაობაში და ყინულის ჰოკეიში;

ბ) „ყინულის მოედნის“ პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში;

გ) ხელშეწყობა ფიგურულ ციგურაობასა და ყინულის ჰოკეიში პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების განვითარებისათვის.

2. ყინულის მოედნის ამოცანები **:**

ა) ორგანიზება გაუწიოს ყინულზე ფიგურულ ციგურაობასა და ყინულის ჰოკეიში სპორტულ–გამაჯანსაღებელ პროცესს;

ბ) უზრუნველყოს ფიგურული ციგურაობისა და ყინულის ჰოკეის პოპულარიზაცია და კვალიფიციური სწავლება;

გ) ჩაატაროს შეჯიბრებები, ოლიმპიადები და იზრუნოს ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოსავლენად;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 8. ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლის მიზნები და ამოცანები

1. ქ.ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლის მიზნებია:

ა) ბავშვთა, მოზარდთა და მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ და კულტურულ ღონისძიებებში;

ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, ასევე მასობრივი სპორტის განვითარება;

გ) მასობრივი სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა;

დ) თანამედროვე სტანდარტების დონეზე სპორტულ სანახაობათა პროცესის ორგანიზება და ხელშეწყობა;

ე) სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების, სახელობითი ტურნირების ჩატარების ხელშეწყობა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 9. ტაეკვანდოს სპორტული კლუბის მიზნები, ამოცანები

1. ტაეკვანდოს სპორტული კლუბის მიზნები და ამოცანებია:

ა) ქალაქ ქუთაისში ტაეკვანდოს პოპულარიზაცია, განვითარება და მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა. სპორტის ამ სახეობაში მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების სისტემის სრულყოფა;

ბ) ტაეკვანდოს სპორტული სექციების ჩამოყალიბება;

გ) ქალაქის ნაკრები გუნდის ჩამოყალიბება, საქართველოს ჩემპიონატებში, პირველობებში და საერთაშორისო შეჯიბრებებში სპორტსმენებისა და ქალაქის ნაკრები გუნდის მონაწილეობა;

დ) ტაეკვანდოს, როგორც სპორტის სახეობის, განვითარებისათვის პროგრამებისა და ახალი მეთოდების შემუშავება;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 10. სასწავლო–სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება

1. ფილიალში მუშაობა მიმდინარეობს წლის მანძილზე, რომელიც ითვალისწინებს საწვრთნელ პროცესს, სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს, სამსაჯო პრაქტიკას, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობას, სპორტსმენთა სამედიცინო კონტროლს, ასევე, არდადეგების პერიოდში საბანაკო და სასწავლო–საწვრთნელ შეკრებებს;

2. ფილიალის სასწავლო – საწვრთნელი პროცესი წარმოებს გაერთიანებასთან და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ურთიერთთანამშრომლობით;

3. ფილიალში ვარჯიშების უფლებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და მათი შვილები, ასევე, საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები და მათი შვილები;

4. ფილიალი აწარმოებს ქალაქის ნაკრები გუნდების (პერსპექტიული) სპორტსმენების ინდივიდუალური სამუშაო გეგმების ორგანიზებას;

5. ფილიალის საკვანძო საკითხებზე კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, იქმნება /მწვრთნელ-მასწავლებელთა/ საბჭო, რომელშიც შედის

ფილიალის ყველა მწვრთნელ-მასწავლებელი და ხელმძღვანელობს ფილიალის დირექტორი;

6. მწვრთნელ-მასწავლებელთა საბჭო ტარდება კვარტალში ერთხელ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროების მიხედვით;

7. სასწავლო – საწვრთნელი პროცესი აისახება ფილიალებში მოსწავლის მიღებისა და გარიცხვის წესში, რომელსაც ამტკიცებს გაერთიანების მმართველი.

მუხლი 11. ფილიალის მწვრთნელ – მასწავლებლები

1. ფილიალის მწვრთნელ – მასწავლებელთა შემადგენლობა ძირითადად კომპლექტდება სპეციალური განათლების მქონე მოქალაქეებისა და პირებისაგან, რომლებსაც აქვთ აკრედიტებული სასწავლებლის დიპლომი, გამონაკლის შემთხვევაში, ფილიალში მწვრთნელ – მასწავლებლად მუშაობის უფლება ეძლევა „სპორტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უმაღლესი, არასრული საშუალო, სპეციალური განათლების მქონე პირებს და იმ სპორტსმენებს, რომლებიც წარსულში იყვნენ საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრები და კანდიდატები და გავლილი აქვთ ატესტაცია დადგენილი წესის შესაბამისად;

2. ფილიალის მწვრთნელ – მასწავლებლების, სპორტის სპეციალისტებისა და ტექნიკური მომსახურე პერსონალის უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით.

მუხლი 12. ფილიალის მოსწავლეთა /სპორტსმენთა/ უფლებამოსილებანი

1. ფილიალის მოსწავლეები /სპორტსმენები/ უფლებამოსილი არიან:

ა) ისარგებლონ ფილიალის სპორტული ბაზით, ინვენტარითა და სხვა ძირითადი თუ დამხმარე ნაგებობებით;

ბ) მოითხოვონ მათ მიერ გაერთიანებასა და ფილიალთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულება;

2. ფილიალის მოსწავლეები /სპორტსმენები/ ვალდებულნი არიან შეასრულონ გაერთიანების წესდებით, ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 13. რეორგანიზაცია – ლიკვიდაცია

ფილიალების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და წესდების ახალი რედაქიის დამტკიცების წესი

გაერთიანების წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას, ასევე წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.